



მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა
და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის
ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი

„--06--“ ---03--- 2015 წ.

ერთის მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) წარმოდგენილი მისი რექტორის, აკადემიკოსის, პროფესორ ვლადიმერ პაპავას სახით და მეორეს მხრივ, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) წარმოდგენილი მისი რექტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის სახით, მხარეები ისწრაფვიან რა, ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში იღებენ საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და მხარეთა უფლებამოსილების ფარგლებში დებენ წინამდებარე „ურთიერთთანამშრომლობის შესახებ“ მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1

მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს:

ა) ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;

ბ) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;

გ) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება და ინტერესებული პირებისათვის;

დ) სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევების პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება.

მუხლი 2

მემორანდუმის მიზნის განსახორციელებლად მხარეები მიზნად ისახავენ და შესაძლებელია უზრუნველყონ:

ა) სამეცნიერო კვლევების განხორციელება;

ბ) სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება;

გ) სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა;

დ) გაცვლითი საჯარო ლექციების წაკითხვა;

ე) მხარეთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობა, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

ვ) ზემოხსენებული მიზნის მისაღწევად სხვა ღონისძიებების განხორციელება, მხარეების მხრიდან ფინანსური ვალდებულებების აღების გარეშე.

მუხლი 3

მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და პირობები შეიძლება განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.

მუხლი 4

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკებების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5

მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, რომელიც შესრულებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.

მუხლი 6

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 7

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე. მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება შესრულებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით. მემორანდუმის ცალმხრივად შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია ამის შესახებ გონივრულ ვადაში წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.

მუხლი 8

ამ მემორანდუმის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე მოქმედებას წყვეტს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ახალციხის ინსტიტუტს შორის 2007 წლის 8 ნოემბერს გაფორმებული „თანამშრომლობის შესახებ“ მემორანდუმი;
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ახალციხის ინსტიტუტს შორის 2007 წლის 8 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულება №1.50/05.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

რექტორი

აკადემიკოსი, პროფესორი

რექტორი

პროფესორი

ვლადიმერ კაკავა



მერაბ ბერიძე

